ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3701530

ნომერი: AR1500531

თარიღი : 17.10.2017

გაცემის თარიღი : 27.11.2017

გაცნობის თარიღი : 27.11.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარნეული , N 43 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზი მარგველანი პ/ნ 27001002912
- დ. ლენტეხი ი.ჭავჭავაძის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ნატურალ +
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 245444764
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ბალესიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011082773

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3312859
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.06.2017

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2057556
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 7.08.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური გაცნობებთ, რომ ვინაიდან სრულად არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სამსახური მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი და საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში. დაფიქსირებული ხარვეზი:
წარმოდგენილი ხელშეკრულებებით კვლავ არ დგინდება თუ ვის აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი ვინაიდან წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად მეიჯარე გადასცემს ხოლო მოიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს მსუბუქ ავტომობილს. რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძველს ვადა აქვს გასული. განიმარტოს თუ ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს „ნატურალ +“, წარმოდგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ შპს „ნატურალ +“-ს აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. კერძოდ წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტთან მიმართებაში შპს „ნატურალ +“ -ის (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული). გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით არ არის დაინტერესებული შპს „ნატურალ +“-ი გაითვალისწინეთ, რომ დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს ის პირი ვისაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და წარმოდგენილ იქნეს მის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.